

---

# **PwC Georgia Tax & Law Brief**

21 March 2016

---

## **Important Amendments in the Law on Entrepreneurship**

---

### ***Distribution of profits***

- According to the introduced amendments, LLC and JSC shall distribute profits not later than within 9 months from the decision of the profit distribution. The law did not provide for the time limit before the amendments. *The amendment enters into force from May 2016.*

### ***LLC Capital***

- The amendments regulate increase of capital in the LLC, in particular every partner shall have right to participate in the capital increase proportionally to his/her shareholdings, unless *all partners* agree otherwise. Before the amendments, the law did not regulate issues related to increase of capital in LLC.

### ***Pre-emption rights***

- The amendments provide for the pre-emption rights of the shareholders when new shares are issued by the JSC. Such rights was not provided under the law, but could have been agreed under the charter.

### ***Non-executive director***

- The amendments provide for the mandatory non-executive member of the supervisory board for the public companies under the Law on Securities, the shares of which are quoted on the stock exchange. *The amendment enters into force from May 2016.* The companies that are not currently in compliance, shall effect the required changes not later than within 2 years from the entry into force of the requirement, on the first opportunity to change the acting supervisory board member.

### ***Supervisory board chair***

- Under the amendments, the chairperson of the supervisory board, may not be a director in the JSC. *The amendment enters into force from May 2016.* The companies that are not currently in compliance, shall effect the required changes within 2 years from the entry into force of the requirement, but on the first opportunity to change the acting chairperson.

Source: Legislative Herald of Georgia, 19 February 2016

---

## Draft Amendments in the Law on Electricity and Natural Gas

---

### **Guaranteed Capacity Source**

- Under the current law all wholesale electricity buyers pay guaranteed capacity fee. According to the explanatory note to the proposed bill, until now, the fee was not high, as existing thermal power plants did not have large fixed costs. The Commission determines the fixed costs of the TPPs. Starting from 2015 guaranteed capacity source status was given to Gardabani TPP, which increased the tariff by 3.5 times.
- Under the draft bill, the GoG will gain competences to decide what shares of the fixed costs of the guaranteed capacity sources will be reflected in the capacity fee and what share in the electricity generation tariff.

---

*Source: the Parliament of Georgia, 11 March 2016*

---

---

### **Let's talk**

For a deeper discussion of how this issue might affect your business, please contact PwC Georgia

---

#### **Sergi Kobakhidze**

Director, Tax & Law Practice  
E-mail: [sergi.kobakhidze@ge.pwc.com](mailto:sergi.kobakhidze@ge.pwc.com)  
Tel: + 995 32 250 80 50

#### **Vano Gogelia**

Head of Legal Services  
E-mail: [vano.gogelia@ge.pwc.com](mailto:vano.gogelia@ge.pwc.com)  
Tel: + 995 32 250 80 50

#### **Tamta Shermadini**

Manager, Advisory Services  
E-mail: [tamta.shermadini@ge.pwc.com](mailto:tamta.shermadini@ge.pwc.com)  
Tel: + 995 32 250 80 50

PwC in Georgia offers Integrated Assurance, Tax, Legal and Advisory services. PwC Network globally employees 208,109 people in 756 locations across 157 countries who share their thinking, experience and solutions to develop fresh perspectives and effective practical advice.

PwC Georgia **Tax Services** includes tax advisory services, tax reviews and tax compliance, transfer pricing compliance, representation during tax disputes, tax structuring, double tax treaty advice, tax due diligence support, customs matters and others.

PwC Georgia **Legal Services** offers full range of legal support in corporate and commercial law, corporate reorganizations, corporate secretarial work, M&A, competition compliance & litigation, secured transactions, employment law, immigration, construction law and other. With over 2,400 lawyers across more than 80 countries, we have the broadest geographical coverage of any legal services network in the world.

At PwC Georgia, you will find **Advisory professionals** with unparalleled financial and accounting expertise, knowledge of business processes, industry insight and technology, and customer relationship skills. Through our capabilities in these areas, we assist clients in translating strategy into action.

This publication has been prepared for general guidance on matters of interest only, and does not constitute professional advice. You should not act upon the information contained in this publication without obtaining specific professional advice. No representation or warranty (express or implied) is given as to the accuracy or completeness of the information contained in this publication, and, to the extent permitted by law, PwC does not accept or assume any liability, responsibility or duty of care for any consequences of you or anyone else acting, or refraining to act, in reliance on the information contained in this publication or for any decision based on it.

© 2016 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V Georgia Branch refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see [www.pwc.com/structure](http://www.pwc.com/structure) for further details.

# PwC საქართველო

## საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები

21 მარტი 2016

### მნიშვნელოვანი ცვლილებები მეწარმეთა შესახებ კანონში

#### მოგების განაწილება

- ცვლილების თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში დივიდენდი უნდა გაიცეს წესდებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოგების განაწილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 9 თვისა. ცვლილებამდე, კანონი არ ითვალისწინებდა მოგების განაწილების ვადას. ცვლილება ძალაში შედის 2016 წლის მაისიდან.

#### შპს-ს კაპიტალი

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში პარტნიორებს უფლება აქვთ, თავიანთი წილების პროპორციულად მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა წესზე არ შეთანხმდება

#### უპირატესი შესყიდვის უფლება

- ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს მათი უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს უფლება შეიძლება გააუქმოს მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებამ.

#### დამოუკიდებელი დირექტორი

- თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე, ამ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრი მაინც უნდა იყოს პირი, რომელიც არის დამოუკიდებელი - სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად არ არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოებასთან, მათ შორის, არ ფლობს ამ საზოგადოების აქციებს და არ იღებს აღნიშნული საზოგადოებიდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისათვის დადგენილი ანაზღაურებისა.

- ცვლილება ძალაში შედის 2016 წლის მაისიდან. კომპანიები ვალდებული არიან განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ცვლილების ძალაში

**სამეთვალყურეო  
საბჭოს  
თავჯდომარე**

შესვლიდან 2 წლის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პირველივე ცვლილებისთანავე.

- ცვლილებების მიხედვით, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი. ცვლილება ძალაში შედის 2016 წლის მაისიდან. კომპანიები ვალდებული არიან განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ცვლილების ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის პირველივე ცვლილებისთანავე.

*წყარო: საკანონმდებლო მაცნე, თებერვალი 2016*

---

## კანონპროექტი ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ კანონში ცვლილებების თაობაზე

---

**გარანტირებული  
სიმძლავრის  
წყაროს  
საფასური**

- დღეს მოქმედი კანონის თანახმად, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ფიქსირებული დანახარჯები აისახება გარანტირებული სიმძლავრის საფასურში. გარანტირებული სიმძლავრის საფასურს იხდის საბითუმო ბაზრის მონაწილე ყველა მყიდველი სუბიექტი. საკანონმდებლო ცვლილებების განმარტებითი ბარათის თანახმად, არსებული თბოელექტროსადგურების ფიქსირებული დანახარჯების წილი მაღალი არ არის, ვინაიდან მნიშვნელოვნადაა შემცირებული კაპიტალური დანახარჯები. 2015 წლის ნოემბრის თვიდან გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი მიენიჭა შპს „გარდაზნის თბოსადგურის“, რომელიც წარმოადგენს ახალი ინვესტიციის შედეგად შექმნილ აქტივს, და, შესაბამისად, მისთვის დადგენილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა საშუალოდ 3,5-ჯერ გაზარდა საბითუმო ბაზრის მონაწილე სუბიექტების მიერ გადასახდელი გარანტირებული სიმძლავრის საფასური, რაც მძიმე ტვირთად დააწვა კონკრეტული სეგმენტის მომხმარებლებს – ექსპორტიორებს და პირდაპირ მომხმარებლებს.
- შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება გადაწყვიტოს ფიქსირებული დანახარჯების რა წილი უნდა აისახოს გარანტირებული სიმძლავრის საფასურში და რა წილი ელექტროენერჯის წარმოების ტარიფში.

*წყარო: საქართველოს პარლამენტი, 11 მარტი 2016*

---

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

---

#### სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: [sergi.kobakhidze@ge.pwc.com](mailto:sergi.kobakhidze@ge.pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

#### ვანო გოგელია

იურიდიული მომსახურება

E-mail: [vano.gogelia@ge.pwc.com](mailto:vano.gogelia@ge.pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

#### თამთა შერმადინი

მენეჯერი, საკონსულტაციო მომსახურება

E-mail: [tamta.shermadini@ge.pwc.com](mailto:tamta.shermadini@ge.pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 2400 იურისტით 80-ზე მეტ ქვეყანაში.

PwC საქართველოს საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, ფინანსური და შესაბამისი სექტორული ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პროფესიონალები დაგეხმარებიან თქვენი სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შეშვავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2016 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V Georgia Branch refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see [www.pwc.com/structure](http://www.pwc.com/structure) for further details.

